1899

მწყემსი

F 25
1899

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 7 1883—1899 15 აპრილი

F 85

ქრისტე აღდგა!

ბოლეს შესრულდა 1866 წელიწადი, რაც სასიხარულო ხმა: „ქრისტე აღდგა“, გაისმის დედა მიწაზე. არც ერთი სახელმწიფო არ არის დამთესილი, სადაც ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას და სახარებას არ ჰქადაგებდენ. ჯერეთ მაინც და მაინც დიდი დრო არ არის გასული ქრისტეს სწავლის დაწყების შემდეგ, მაგრამ ამ მოკლე სანშიაც დიდ ძალმა ხალხმა იწამა ქრისტე და მის სწავლას აღიარებს. ევროპაში, თითქმის, ყოველგან ქრისტიანობა არის დამკვიდრებული და ევროპიელი მისსიონერე-

ბი ალარ ტოვებენ დედა მიწასე სასელმწიფოებს, რომლებშიაც ქრისტეს სწავლა-მოძღვრება არ ექადაგებიოსთ და არ გაევრცელებინოსთ. გაივლის კიდევ დრო და იმედია ქრისტეს სწავლა-მოძღვრება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ დამკვიდრდება ყოველ ადგილას. გვრწამს, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ ჯერ ჯერობით კი ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ჭეშმარიტი ქრისტიანენი ვიყნეთ და მაცხოვრის სწავლას, „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ გაევლოს ჩვენს მკვლსა და რბილში. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქციელი და ერთიმეორესთან ჩვენი დამოკიდებულება სულ სხვას ამტკიცებს, სხვას გვეუბნება. იქ, სადაც სუფევს ფარისევლობა, სიცრუე გაუტანლობა, ჩაგვრა, მომრეობა, სიმულვილი, მტრობა, მტაცებლობა მედიდურობა, და სხვის დამონება, იქ არ არსებობს ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ამისათვის ყველანი კარგად უნდა დავფიქრდეთ, და ჩავიხედოთ ჩვენს გულში, როდესაც ვამბობთ „ქრისტე აღსდგა“-ს, და შევიტყოთ ღირსი ვართ ამ სიტყვის თქმისა თუარა. და მართლა აღსდგა ჩვენს გულში ქრისტე, რომელმაც ყველას გვამცნო სიყვარული ურთიერთ შორის? მაგრამ ამასედ დაფიქრების დრომ გაიარა. დღეს ყველანი სიხარულით ვართ აღვსილნი და მეც აღტაცებული სიხარულით მოვიქცევი შენდამი, შემო მკითხველო, და გეტყვი:

ქრისტე აღსდგა! ვისურვებ თქვენთვის, ძმანნო, რათა წმინდათ და მხიარულად გაატაროთ ეს წმინდა და სასიხარულო დღესასწაული. დღეის დღეს შეფერის მხიარულება, მაგრამ ამავე დროს უნდა მოვერიდოთ ცუდ საქმეებს. ცოდვაც არის, რომ დღეს არ იმხიარულოს კაცმა, რადგან დღევანდელი დღესასწაული ფრიად სასიხარულოა ჩვენ ქრისტიანეთათვის. მაგრამ უნდა ვერიდოთ, რომ ამ დღეებში რაიმე ცოდვა არ ჩავიდინოთ, ამიტომ ვისურვებ თქვენთვის, ძმანნო, მხიარულებას და ვსთხოვ მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს, რომ მხიარულების დროს დაგიფაროს თქვენ ყოველივე ცუდი საქმისაგან.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ამ ბრწყინვალე დღესასწაულის დროს კიდეც ვიმხიარულოთ, მაგრამ რაიმე ცუდი საქმეები კი არ ჩავიდინოთ? სიწმიდე და მხიარულება დღევანდელი დღესასწაულისა წარმოდგება იესო ქრისტეს მოგონებისაგან, ვინაიდგან მაცხოვარი არის წყარო ყოველივე სიწმიდისა და მხიარულებისა. როგორც სინათლე და სითბო წარმოსდგება ქვეყანაზე მზისაგან, ისე სიწმიდე და მხიარულება მოევლინება დღევანდელ დღესასწაულს იესო ქრისტესაგან. და აი, კეთილ მორწმუნე მსმენელო, რომელ წყაროდან უნდა მოიღო შენ შენი თავისათვის სიწმიდე და მხიარულება: მოიგონე იესო ქრისტე, მიზეზი დღევანდელი დღესასწაულისა,—და შენ იძულებული იქნები იდღესასწაულო ეს ბრწყინვალე დღეები წმინდად და მხიარულად. იესო ქრისტეს მოგონება შენ დაგიფარავს ცოდვებისაგანაც და შენ გულსაც აღავსებს სიხარულით. იესო ქრისტე აღვსილია სიწმინდით და უსვობით არს სიხარულით, ისე რომ ერთ წამსაც მაცხოვრის მოგონება ჩვენს სულში დიდ-ხანს სტოვებს სიწმინდეს და მხიარულებას. როგორც ჯურჯელი, აღვსილი კეთილ სუნოვანი მირონით, სუნნელებას აძლევს ყველას, ვინც კი მიუახლოვდება ამ ჯურჯელს, ისე იესო ქრის-

ტე, ეს დაუშრეტელი ჭურჭელი სიწმიდისა და მხიარულებისა ანიჭებს სიწმიდეს და მხიარულებას ყველას, ვინც კი მოიგონებს მასს.

მოიგონე იესო ქრისტე, მუდამ თვალ წინ გედგას იგი, ყოველივე მისთვის მოიქმედე, მუდამ მისი შემაცქერალი იყავი, და მხოლოდ მაშინ იქმნება შენთან იესო ქრისტე ამ ბრწყინვალე დღესასწაულის დროს: მაშინ შენ იდღესასწაულებ ამ დღეებს წმინდათ და მხიარულად. თუ შენ ფიქრად მოგივიდეს თავში ცოდვილი გულის თქმანნი, მაგრამ დაიკავე თავი, და შემდეგი პასუხი გაეც შენ გულის თქმათ: იესო ქრისტეს გულისათვის არა მსურს თქვენი აღსრულება. თუ რამე კეთილი აზრი დაგებადოს თავში, არქვი შენს თავს: ამას კი მოვიქმედ იესო ქრისტეს გულისათვის. თუ შენ რამემ გაგახაროს, მაშინ სთქვი: ვიმხიარულებ იესო ქრისტეს გულისათვის. თუ შენ შეგაწუხოს ქვეყნიურმა ვარამმა, მაშინ არქვი მას: არა მსურს ვიმწუხარო იესო ქრისტეს გულისათვის, თუ შენ ხარ უბედური, ღარიბი, შარტო მეოფი, ან თუ ვინმემ გაწყენია შენ და გაგაჯავრა, ასე თქვი: ყოველივე ამას დავივიწყებ, მხიარულებას მივეცემი იესო ქრისტეს გულისთვის. ეცადე უცოდველად გაატარო ეს დღესასწაული იესო ქრისტეს გულისათვის და არა შეურაცხეო დღევანდელი დღე. თუ ასე იმხიარულებ და მოიქცევი იესო ქრისტეს გულისათვის, მაშინ იესო ქრისტე დაგიფარავს შენ ცოდვებისაგან და შენს გულს მიანიჭებს მხიარულებას. ყოველივე მოიქმედე იესო ქრისტესათვის და იესო ქრისტეც მოგანიჭებს შენ ყოველივეს.

თუ მაინცა და მაინც შენ არაფერი არ გამხიარულებს ამ სასიხარულო დღესასწაულის დროს! თუ შენ უცოდველად ატარებ ამ დღეებს, მაგრამ შენი გული მაინც არ მხიარულობს და სულ მოკლეობას ეძლევი, მაშინ შენ ვერ შეიძლებ იგალობო ქრისტეს აღდგომა. როცა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდე, მიიქეცი უუტკბილესს იესოსადმი, აღიარე მის წინაშე შენი მწუხარება, აუწყე მას შენი გულის ვარამი, გადუშალე მას შენი გული და გონება და ასე შეეკედრე: „უფალო! მე მავიწროებს მწუხარება, მე ვსწუხარ, მე არ შემიძლია ვიმხიარულო. მომივლინე მე რაიმე მხიარულება, გამასარე მე რითიმე, რომ მეც ამ შენს დღესასწაულის დროს მწუხარების ნაცვლად მივეცე მხიარულებას". ასე ეკედრე ქრისტეს და მაშინ შენ თვითონ არ მოისურვებ ქვეყნიურ სიამოვნებათ; ვინაიდგან ცოდვილთათვის, როგორებიც ვართ ჩვენ ყველანი, არავითარი მხიარულება არ არის უმაღლეს იმისა, როგორსაც გრძნობს ცოდვილი, როცა სტირის უუტკბილეს იესოს წინაშე. დიახ, სასიხარულოა უუტკბილესს იესოს წინაშე ცოდვების აღიარება. თვით იესო ქრისტეც არ დაგაგდებს შენ მწუხარებასა შინა თავის დღესასწაულის გულისათვის. იგი უსათუოდ გაგახარებს შენ რითიმე, გაგახარებს შენ იმით, რაც შენ თვითონ ფიქრადაც არ მოგდის, და მაშინ შენც მხიარულად იგალობებ ქრისტეს აღდგომას.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედრულისა და ხუცურის ანბანის გამო.

სხვათა შორის შარშან «ახალ მიმოხილვაში» ბ. მარრმა მოიხსენა, რომ ზოგიერთების ფიქრით ქართული ხუცური ანბანი წამომდგარია სომხურ ანბანიდანაო. ეს აზრი სინამდვილეს მოკლებული უნდა იყოს. ერთი ეს ვიკითხოთ, თუ სომეხმა მოგვცა ჩვენ ანბანი, რატომ თავისი არ მოგვცა და სხვა შეგვიდგინა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ თვითონ გადმოვიღეთ სომხურ ანბანიდან ჩვენი ანბანი. მაშინ ჩვენ რათ გვაქვს ორი ანბანი და არა ერთი, ან სომხეთს რათ აქვსთ ერთი ანბანი და არა ორი. ცხადია, აქ რამე მიზეზია დაფარული. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე იმ აზრისა იყო, რომ მხედრული ანბანი წარმოშობილია ხუცურისაგანაო, მაგრამ ეს აზრი აი რათ უნდა იყოს უსაფუძვლო, თუ მხედრული ანბანი შვილია ხუცურისა, ე. ი. წარმოადგენს ხუცურის განვითარებას, გამშვენებას, გადაკეთებას, მაშ რათ არ დამყარდა მარტო ეს უფრო უკეთესი, უფრო შნოიანი და ადვილათ გასაგებ-სახმარი ანბანი და იმის გვერდით დარჩა უფრო ულამაზო და ძნელი ანბანი. თუ ვინმეს ხელში ვარჯიშდებოდა ანბანი, ეს უეჭველია სასულიერო პირთა ხელში ვარჯიშდებოდა იმიტომ, რომ ამ ბოლო დრომდის თითქმის მთელი მწიგნობრობა იმათ ხელში იყო. მაშ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ სასულიერო წოდებამ განავითარა, გაამშვენა, შეიმუშავა უუმარტივესი, უუადვილესი და საზოგადოთ სრული ანბანი და იგი უფეშქაშა საერო წოდებას. ესეც არ შეიძლება. თუ დროება ცუდს გააკარგებდა, ცხადია, ეს კარგი პირველ ყოვლისა მოხმარდებოდა სარწმუნოების საჭიროებას, ე. ი. საღმრთო წერილის, თუ სხვა სარწმუნოებრივ წიგნებისათვის ხმარებაში შემოვიდა უფრო სრული ანბანი. აშკარაა, წმინდა საგანს საუკეთესო ანბანს დაუთმობდენ, მით უმეტეს, რომ ეს ანბანი ერთბაშათ შემოტანილი რამე არ იქნებოდა მწიგნობრობაში უცხოეთიდან, როგორც მაგალითად რუსული ანბანი, და თავისს თავად ძალდაუტანებლად შეიცვლებოდა და გაბატონდებოდა.

უნდა ვიფიქროთ ზოგიერთებთან ერთად, რომ ხუცური ანბანი უნდა იყოს მხედრულ ანბანზე შედგენილი ქრისტიანობის დასაწყისში. მართალია ეს ახლათ შემოღებული ანბანი უფრო ნაკლები იქნებოდა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდათ წარმართული მწიგნობრობასა და ქრისტიანულს შუა გავლებულიყო ღრმა კვალი და ეს კვალი იყო ანბანის შეცვლა, ერთის სიტყვით ხუცური ანბანი არსებობდა დღემდის განსაკუთრებით საღმრთო და საეკლესიო-სასულიერო შინაარსის წიგნებისათვის და ის არ უნდა იყოს სომხურ ანბანის ზეგავლენით შედგენილი და თუ რამე მოწმობს სომხურისა და ხუცურ ანბანის მსგავსებას, ეს მოწმობა უნდა იყოს ხუცურ ანბანის სასარგებლო.

მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი.

გზა მღვდლობისაკენ.

I.

მღვდლის მ. პავლე ლოდისკის სახლში არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. მრავალი მსახურნი დარბიან, მოსჩანან სანთლები, რომელნიც გადააქვთ სალაროდან სარდაფში, სარდაფიდან სამზარეულოში და უკანვე; სახლიდან მოისმის ხმაურობა. ეზო მთლათ დაჭერილია ურმებით, ტარანტასებით და ეტლებითაც კი. სოფლის მღვდლის ყოფა-ცხოვრების მცოდნე კაცისათვის ძნელი არ იყო მიხვედრა პირველისავე შეხედვით, რომ მ. პავლესას იმ საღამოს ხდებოდა იშვიათი ამბავი. ეს ასეც იყო. მ. პავლე თავისს მეუღლითურთ ის იყო მიგებებოდა ჯვრის წერიდან მოსულ სტუმრებს და თავისს ძვირფას მეფო-დედოფალს. მათი ერთად ერთი ქალი მითხოვდა სემინარიაში კურს დასრულებულ გრიგოლ რაზოვს. მ. პავლე უსაზღვროთ მოხარული იყო ამ ქორწილისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან, საქმროსა და სასძლოს შორის თანაგრძნობის გარდა, ეს კავშირი იყო მ. პავლეს გულისებური, რომლის სანატრელი სურვილი იყო თავისი ქალი დაენახა მღვდლის მეუღლეთ. ცხოვრებით და მისგან ცნობილ ცოლ-ქმრობის ბედზე მრავალ წლობით დაკვირვებით გამობრძენებული მ. პავლე ასე ფიქრობდა: ყოველი ცოლ-ქმრობა საიბედიოა, მაგრამ მღვდელთან შეუღლება წარმოადგენს უფრო ცოტა მიზეზს საოჯახო უბედურებისას. ცხოვრება მღვდლისა ხარისხის სიდიადისა გამო ეწყობა ცოტა სხვანაირად, ვიდრე დანარჩენი ხალხის ცხოვრება. მღვდელს აკრძალული აქვს, თითქმის, ყველა, ეგრედ წოდებული, საერო სიამოვნებანი. აი ამისათვის უმეტეს ნაწილათ მღვდლებისთვის ოჯახი, ოჯახური ცხოვრება შეადგენს ერთად-ერთ საერო სიხარულს და სიამოვნებას. ცხადია, რომ ოჯახი, რომელიც იკავებს მღვდლის სულიერ ცხოვრებაში ასეთ უპირატეს ადგილს, იზიდავს თვისკენ მთელ მის ენერგიას, სინაზეს და მზრუნველობას. ამ პირობებში მღვდლის ცოლი, მისი ოჯახი იშვიათად შეიძლება იყვნენ უბედურნი, თუ კი წინდაწინ შეუნიშნავი არ გამოაჩნდება რამე ქმრისა და ცოლის ხასიათს, ან იმათ ცხოვრების გარეშე გარემოებათა. მ. პავლეს სწამდა ყველასათვის ცნობილი ანდაზა: „ПОПЪ ЗОЛОТОЙ СТОПЪ“ (ხუცესი ოქროს ძნაო) — და ამიტომ უპირატესობას აძლევდა თავისი ქალის სამღვდელო კაცთან შეუღლას.

მეფე დედოფლის მიგებების შემდეგ მრავალ რიცხვოვანი სტუმრები, რომელთა უმრავლესობას შეადგენდა სამღვდელოება და მათი შვილები, მხიარულის სახით შეუდგენ იმ გართობათა, რომელნიც შესაძლებელია ქორწილის-დროს. უნდა შევნიშნოთ, რომ ქორწილის საღამო სოფლის სამღვდელოებისას წარმოადგენს ახალ-გაზდობისათვის საკმაოდ მრავალფერ წრეს სიამოვნებისას. დრო ცეკვაში კი არ გადის, როგორც ჩვეულებათ მიღებულია მაღალ საზოგადოების წრეში. აქ სამღვდელოებისათვის საყვარელ გალობას ეთმობა არა მცირედი ადგილი. გალობა ერთი იმ ცოტა ესტეტიკურ სიამოვნებათაგანია, რომელნიც ნება დართულიც და შესაძლებელია სამღვდელოების წრეში. ამიტომ პ-ლი ადგილი უჭერია გალობას მღვდელ-მოსამსახურეთა გასართობთა შორის. ამ საღამოსაც ახალ-გაზდობა სასიამოვნოდ გალობდა, მოხუცნი კი შემოსხდომოდენ ჩაის სტოლს, ტკბილად მუსაიფობდენ. ისინი ნეტარებით იხსენებდენ თავიანთ ახალგაზდობის წლებს და იმეორებდენ მეათედ შემთხვევებს, რომელთაც ჰქონდათ დამოკიდებულება ახლანდელ ამბავთან. ათასში ერთხელ ზოგიერთი მოხუცებული გადიოდა ზალაში ახალგაზდობასთან და სიამოვნებდა ახალგაზდების ცქერით.

ჩაის სტოლის ახლო იჯდა შემდეგი საზოგადოება: მემამულე ივანე პეტრეს ძე ჩერნიაკევი, მ. პავლეს სამრევლოში მცხოვრები, თემის ბოქაული, ექიმი, მოურავი თავადი კ. რამდენიმე მღვდელი და ორი თუ სამი ქალი. საზოგადოება იყო საკმაოდ მრავალფეროვანი, რომელსაც ერთმანეთს შორის საერთო არა ჰქონდა რა; მაგრამ სოფელში ცხოვრება უნებურათ აერთებს სხვა-და-სხვაფერ ხელობის ხალხს, რადგან უფრო შესაფერ ნაცნობების წრის პოვნა თვითოულისათვის მიყრუებულ სოფელში თითქმის შეუძლებელი არის.

— „დიახ, ბატონებო, ამ უკანასკნელ დროს მხოლოდ ის ღა გესმის: ერთმა მიატოვა თავისი ცოლი, მეორე ცდილობს გაყრას, მესამე დადგომია ოჯახისათვის სამწუხარო ცხოვრების გზას და სხ. მღვდელს ყველაფერი ეს შეემთხვა. და მე სრულებით თანაუგრძნობ მ. პავლეს, რომელმაც დააბინავა თავისი ქალი უფრო უშიშრათ“, ამბობდა მემამულე იმისთანა სახით, რომ ძნელი იყო განსაზღვრა, მართლა თავისს გულწრფელ რწმენას წარმოსთქვამდა, თუ მხოლოდ უნდოდა შეეფერებია კილო სასულიერო პირთათვის, რომელნიც იმის გარშემო ბლომათ იჯდენ. თემის ბოქაული, რომელიც ალბათ წინათაც დიდ მონაწილეობას იღებდა საუბარში, გულ მოდგინეთ მიემხრო მემამულის სიტყვას:

— «სრულებით სისწორით ბრძანეთ, ივანე პეტრეს ძევ! ახლა, იმას ნუღარ ვიტყვით, რაზედაც თქვენ უჩვენეთ, მხოლოდ მღვდელს ღა აქვს მოსვენებული ცხოვრება. იჯედი შენთვის შენს მრევლში, იცოდე მხოლოდ შენი მრევლი, და შიმშილით არ მოკვდები! განსაკუთრებით, თუ მრევლიც ხეირიანი შეგხვდა. შესახარბებელი ცხოვრებაა! სრულებით ასეთივე არ არის, მაგალითად ავიღოთ ჩემი ცხოვრება. წაიკიდა ვინმე ორი ლოთი — გასწი! ქალმა ჩამოკაწრა სახე მეზობელ ქალს — მაინც! და ეს როგორ ამინდშიაც უნდა მოხდეს!.. იშვიათ დღეს შეგხვდება დაჯდე მოსვენებით ოჯახში. ეჰ, რომ შეიძლებოდეს, ღმერ-

თმანი, წავიდოდი მღვდლათ!“ და სახე გამხდარის, ფერმკრთალის თემის ბოქაულისა ჰხატავდა ამ დროს იმისთანა გულ-წრფელობას, რომ პირდაპირ შეგეძლოთ გეფიქრათ: ძალიან მოწყენია ამ კაცს თავისი სამსახურიო!

—„მერე და რა, პავლე ივანეს ძევ,—გაიცინა მემამულემ,—თქვენი სურვილი შესასრულებელია. შეეხვეწეთ, მ. იოანეს მოახსენონ, რომ იმის საბლალოჩინოში არის ნიჭიერი სამთავრო კაცი. იქნება მოგიხერხდეს როგორმე! და მერე მღვდლობაც იქნება. მამაო იოანნე, მიცემთ შემწეობას პავლე ივანეს ძეს?—ყველა იქ დამსწრეთ თანაგრძნობით გაიღიმეს ამ ხუმრობაზე.

—„თქვენ ხომ ყოველთვის გიყვარსთ დაცინვა, ივანე პეტრეს ძევ—შერცხვა ბოქაულს.—მე ისე, სიტყვაზე ვთქვი, თქვენ კი აჰა, საით მიატრიალეთ!“

—„აი კიდეც იხევს უკან,—განაგრძო ხუმრობით მემამულემ,—არ უნდა მუნდირი ანაფორაზე გაცვალოს“.—ყველამ გაიცინა.

მ. იოანემაც ჩუმათ გაიღიმა, მაგრამ მერე მისი შუბლი შეიკრა და უცბათ ვაჩნდა მაზედ რამდენიმე ნაოჭი. ეტყობოდა, რაღაც არა სახუმრო აზრი იყო აღძრული იმაში და დაიწყო ლაპარაკი: მაშ აგრე, დაიწყეთ მუსაიფი საგანზე და გაათავეთ ხუმრობით. ხუმრობა არის თქვენთვის, ბატონებო, რასაკვირველია, აი ის, რაზედაც ახლა ლაპარაკობდით, და თქვენ არ გგონიათ, რომ ვინმეს ჩვენგანს ეს ხუმრობა ტკივილს აუძრავს, და გულს დაუდარდიანებს, და მოაგონდება რამე—ოჰ! ძალიან არა სასიხარულო“. მ. იოანემ ეს სიტყვები წარმოსთქვა იმისთანა კილოთი, რომ რაღაც იგრძნო ყველა იქ მყოფმა სამღვდელოებამ იმის ხმის კილოდან გამოკრთოდა იმოდენა ხღვა გრძნობებისა, მრავალ იქ მჯდომთათვის გაუგებარნი და სრულებით გამოუცდელი, რომ ერთბაშათ გაუქრათ ყველას პირის სახეზე ღიმილი და ყველამ ყური დაუგდო მ. იოანეს, მ. იოანემ, იქნება იმიტომ, რომ ხუმრობამ იმასაც უკბინა, ილაპარაკა საკმაოდ დაწვრილებით.

—თქვენ ფიქრობთ, რომ ცხოვრების გზა მღვდლისა ადვილია; თქვენ ფიქრობთ, რომ ერის კაცის დანიშვნა საკურთხევლის მოსამსახურეთ არის საქმე, რომელზედაც არც კი ღირს შეჩერება?“ მ. იოანეს თან და თან გულ გულმოსულობა ეტყობოდა

—„თქვენ გგონიათ, რომ მღვდლის პურს არა აქვს სიმწარე; რომ მღვდელი არაფრით არ გაირჩევა სხვა ხალხისაგან; რომ მღვდლათ გახდომა სრულებით არ გაიძულებთ უარი თქვათ ბევრ რამეზე, და ყველაფერი დარჩება უწინდულათ, თითქოს, თქვენ იყოთ ერის კაცი? მაშ გიკვირდესთ თქვენი შეცდომა, თქვენი მიუხვდერებლობა, რომ თქვენ ახლოს დადიან არა ცოტა სასულიერო პირნი, და თქვენ ვერ შეიგნეთ იმათი სულიერი ცხოვრება; რომ თქვენ თვითონ ცხოვრებთ ამ პირთა ახლოს და ვერ მოახერხეთ გაგერჩიათ უმნიშვნელო ნივთიერ გარემოებათა შორის, რომელნიც აუცილებლათ გარს ახვევია მღვდლის ცხოვრებას, სული თავის უარის ყოფისა, სული მრავალ საერო მხიარულებათა უარის ყოფისა, სული ეკლესიისა და საკურთხევლისა, რომელიც უეჭველათ ცხოვრობს მღვდელ-მოსამსახურეში, როგორი სისუსტეც უნდა ჰქონდესთ მათ, რომელიც აკისრებს მათ დიდს, ძნელად ასასრულებელ სარწმუნოებრივ ვალდებულებათ, რომელნიც ხშირათ აიძულებენ მღვდელს სულით იტანჯოს თავისს უღონობისა და სისუსტის შეგნებით. და თქვენ რომ ამის გამოცდა შეგძლებოდათ, მაშინ უფრო სისწორით განმარტავდით, თუ რა არის სამღვდელოების ცხოვრება. მაგრამ თქვენ მიჩერებიხართ მხოლოდ ჩვენის ცხოვრების გარეგან პირობებს. და განა ესეებიც არ გვაიძულებენ ვისურვოთ უმჯობესი?

მ. იოანეს სული ეხუთებოდა სიტყვის სიჩქარით. ყველა გულმოდგინეთ ელოდა გაგრძელებას, მაგრამ მ. იოანემ ისარგებლა რა იმით, რომ მასპინძელი ვ. პავლე მივიდა მასთან რაღაცაზე, იგი წაყვა მას მეფე-დედოფალთან. მ. იოანეს აუდიტორია დარჩა გამოურკვეველ მდგომარეობაში.

ამასობაში მ. იოინე მივიდა მეფე დედოფალთან და ჰკითხა თავისს საყვარელ ძმის წულს: „მაშ მიდიხარ თქვენ მღვდლათ?“

—„შენ ხომ იცი, ბიძია, რომ ეს საქმე გადაწყვეტილია და რაღას მკითხავ?“

—„ოჰ! ჩემო სასურველო, ვიცი, როგორ არ ვიცი! მე ისე გკითხე, ხომ არ გადაგიგუნებია? იქნება გაუბედაობა გეწვია? იქნება ცხოვრების სხვა გზა გიზიდავს? თუ გიყვარდე, ნუ დამიმალავ ამას. ეს ხომ, ჩემო გვრიტო, საკითხავია! და მერე რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი! ხომ აღარ შეიძლება დაბრუნება, რაკი წახვალ“...

— „ძმაო ივანე, რათ ლაპარაკობ აგრე უცნაურათ... რაღაც დარდიანობა, გამოუთქმელობა ისმის შენს სიტყვაში“, შენიშნა მ. პავლემ და თან აცხადებდა სრულ გაკვირვებას ხელების ქნევით.

— „არა, მე შენი არ მესმის, არ შემიძლია გავიგო, — ამბობდა მ. ივანე, — შენ ან ჰფარავ შენს გრძნობებს, ნიღაბს იფარებ, ანა და შენ გული არ შეგტკივა სხვაზე... მე აგრე მოსვენებით ყოფნა არ შემიძლია იმ ამბის შემხედვარე, რომელიც მოელის გრიშას. იფიქრე, გრიშა 21 წლისაა, ჯერ ხომ არ უცხოვრია იმას, არ შეუძლია აწონოს რის ტვირთვასაც ფიქრობს, და შენ ხომ იცი, ადვილია, თუ არა ის ვალდებულება, რომელიც მე და შენ გვაწევს. იფიქრე, პავლე, რომ ახლა ის დრონი აღარ არიან, როდესაც მე და შენ გვქონდა ძალიან ცოტა მოთხოვნილებანი ცხოვრებაში. ახლა ახალ-გაზდა ხალხს ყველაფერი აუხსნის ცხოვრების გემოვნებას: სასწავლებლების მოწყობილობაც, გარეშე საზოგადოება, ხელოვნებანიც, რომელთაც დიდათ განვითარება მიიღეს, და ბოლოს ყოველნაირი გასართობები, რომელნიც ხელმისაწდომი გახდენ ახალ-გაზდობისათვის, ისე კი არა, როგორც ჩვენ დროს. ყველა ეს შეიძლება გახდეს ძალიან მიმზიდველი, თუნდა გრიშასთვისაც, შემდეგში, როცა ამაების გაყოლა სამარცხვინო იქნება და შორიდან ყურება სასაცილო იმისთვის. და აი აქ კი არის დრამა!“

— „დრამა, დრამა!“ გაიმეორა იმავე კილოთი მ. პავლემ. ის თანდათან ცხარდებოდა.

— „მე რომ მკითხო, შენ თვითონ ქმნი დრამას! და იგონებ, ღმერთმა იცის, რას! მომისმინე, რასაც გეტყვი. რა მოუვათ იმათ - ჩვენ არ ვიცით, ეს კია, რომ საქმე ჩინებულათ მიდის. გრიშა და ლელია ერთმანეთით კმაყოფილნი არიან; მრევლს კაის იშოვნის გრიშა, როგორც ერთი უკეთესთაგანი მოწაფე სემინარიისა — და იცხოვრებენ ისინი, ჩემო მეგობარო, შვენიერათ». მ. პავლემ დაუწია ხმას და ხელი მხარზე დაადვა მ. ივანეს.

— „კი, ვთქვათ, შენც მართალი ხარ, მაგრამ, დამეთანხმე, რომ მღვდლის სამსახური პატივცემულია, მისი საქმე მაღალია თავისი მნიშვნელობით, და ცხოვრებაც შედარებით მშვიდი და მოსვენებულია. თავი და თავი ის არის, მ. ივანე, რომ გრიშა მიდის გულწრფელ, ღრმა მიდრეკილებით ახალ ცხოვრებისაკენ, არა აქვს მას ნაძალადები პირობები. შეიძლება იმას ხანდახან გამოაჩნდეს სინანულის მსგავსი რამ (ამის თავდებობა არ შეიძლება), მაგრამ ამ ნაირი გრძნობა არ იქნება ხანგრძლივი, გარწმუნებ ეს სულ უბრალო საქმეა. ვის არ აქვს რაზედმე სინანული, მითხარი, თუ გიყვარდე? გინახავს ამისთანა კაცი? სამაგიეროთ გრიშა ერთბაშათ დადგება ფეხზე. სად იშოვის სხვა ამისთანა მკვიდრ სამსახურს თვის განათლებით? ახლა ხომ ცუდი გასავალი აქვთ სემინარიელებს?“ მ. ივანე ისმენდა და ვერ გამოერკვია, ცხოვრებამ მიიყვანა მ. პავლე აზრების ამნაირ წყობილებამდის, თუ ამნაირი სიტყვები იყვენ მისის უნიჭობის საბუთი, რომ გამსჭვალულიყო იმით, რაც სხვას აღელვებდა და აწუხებდა.

მღ. ქირსტეფორე ციცქიშვილი

შემდეგი იქნება.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

შურითა მიჰსცეს იგი.

სახარებაში, სადაც კი მოხსენებულია ჩვენი მხსნელის იესო ქრისტეს განსჯა, რათა ჯვარს აცვან იგი, იქვე უსათუოდ ნათქვამია ისიც, რომ პილატე აგვიანებდა თავის მსჯავრის წარმოთქმას, თუმცა

ბრბო ხმა-მაღლა თხოვილობდა, რომ ჯვარს ეცვათ ქრისტე; პილატე ყოყმანებდა, ვინაიდგან იესო ქრისტესში იგი ვერ ხედავდა დამნაშაობას და დარწმუნებული იყო, რომ ხალხმა შურითა მიჰსცა იგი—ქრისტე (მარკ. 15, 10).

რა შურდათ ქრისტეს მტერთ და რისთვის სძულდათ მაცხოვარი? არც თავისი ჩამომავლობით, არც სიმდიდრით, არც გარეგანი საზოგადოებრივი თავისი მდგომარეობით—ქრისტეს არ შეეძლო შური აღეძრა მწიგნობართა და ფარისეველთა გულში. ქრისტეს არ გააჩნდა არავითარი საკუთრება, არც მინდორი, არც სახლი და დღიურ საზრდოს შოობდა მის გულსმოდგინე მიმბაძველთაგან. მაშასადამე თავისი გარეგანი სიმდიდრით და მდგომარეობით მას არ შეეძლო მეტოქობა გაეწია ფარისეველთა და მწიგნობართათვის, რომელნიც ფრიად მედიდურობდენ თავისი ცოდნით და თავისი კეთილი ცხოვრებით და, ერთი შეხედვით, ხალხიც ძლიერ დიდ პატივს ცემდა მათ. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ხალხის ამ წინამძღვართ და სულიერ მასწავლებელთ კარგად ესმოდათ და გრძნობდნენ, რომ მათი ბრწყინვალე გარეგანი მდგომარეობა და სხვის თვალის ამხვევი კეთილმსახურება ხალხის თვალში თან-დათან კარგავდა მნიშვნელობას; ისინი გრძნობდნენ, რომ ახალი, მაღალი, ადვილად გასაგები და გამოცხადებული სწავლა ქრისტესი, როგორც დიდი წინასწარმეტყველისა და ზეციური მოცალქულისა, მოსწონდა ხალხს, ხოლო სასწაულებს, რომელთაც იქმოდა ქრისტე, განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი, რომელიც მადლობით იღებდა ქრისტესაგან ქველისმოქმედებათა, ერთი სიტყვით, ქრისტეს მტრები ხედავდენ და პირდაპირ ამბობდენ: «აჰა ესე რა, სოფელი ყოველი მივიდა შედგომად მისა" (იოან. 12, 19).

აი სწორეთ ქრისტეს ეს დიდება და მისი ხალხზე ასეთი ზედგავლენა აწუხებდა და შურდათ ურიათა სულიერ მასწავლებელთ. ამავე დროს ფარისეველთა და მწიგნობართა შურს ქრისტესადმი აძლიერებდა არა ნაკლებ ძლიერი და ბოროტი გრძნობა—სიძულილი.

მწიგნობრებს და ფარისეველთ სძულდათ ქრისტე იმისათვის, რომ იგი თავისი ცხოვრებით და განსაკუთრებით თავისი სწავლით ამხილებდა მათ ბიწიერებას, იმათ ბოროტებას და ფარისეველობას. მრისხანე და ძლიერი მხილებანი ქრისტესი ვერ მოქმედებდნენ მწიგნობართა და ფარისეველთა ზედა, ვერ განაღვიძა მათში სინიდისი და გონება, რათა შეეგნოთ თავიანთი გაფუჭებულება; ეს მხილება მათ მხოლოდ აბრაზებდა და აძლიერებდა მათ შურს და სიძულილს ქრისტესადმი.

ორ ასეთ ძლიერს და განუყრელ მოკავშირეთ, როგორებიც არიან შური და სიძულილი, უსათუოდ უნდა გამოეწვიათ ცილისწამება, როგორც ნამდვილი საშუალება, რომლის მეოხებით შეეძლოთ დაეღუპნათ ის, ვინც მოვიდა ქვეყნად ჩვენი ხსნისათვის.

შური, როგორც მოგვითხრობს ისტორია, ყოველთვის არსებობდა კაცთა ნათესავში, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან შურის დასაწყისი არის ჩვენი უუბოროტესი მტერი—ეშმაკი. შური თანამედროვეა ეშმაკისა.

ყურადღება მივაქციოთ ქრისტიანობის პირველ დროს. წმ. მოციქულთა ქადაგების წარმატება და მათი შრომა შურს ბადავდა ურიათა და კერპთთაყვანისმცემელთა გულში. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თვის მღვდელ-მთავრულ სიტყვაში ცხადათ გამოთქვა: „მე მივჰსცენ მათ" (ე. ი. მოწაფეთ), „სიტყვანი შენნი, და სოფელმან მოიძულვნა ისინი" (იოან. 17, 14). «უკეთუ სიტყვანნი ჩემნი დაიმარხნეს, თქვენიცა დაიმარხნენ" (15, 18, 20).

სინამდვილით აღსრულდა ეს სამწუხარო საწინასწარმეტყველო სიტყვა ქრისტესი: როგორც კი მისმა მოწაფეებმა, რომელნიც განათლებულ იქმნენ სული წმიდის მიერ, წარმატებით იწყეს ქადაგება ღვთაებრივი სწავლისა, ხალხის მასწავლებელთა—ურიათა და კერპთთაყვანის მცემელთა, რომელნიც აღივსნენ შურით, დაუწყეს დევნა ქრისტიანებს და ორი საუკუნის და ნახევრის განმავლობაში ჩვენ თვალწინ იხატება სასტიკი დევნა ქრისტიანეთა.

ასეთია შეუპოვარი და ბოროტი ძალა შურისა. რაღა უნდა ვსთქვათ, საყვარელნო ძმანო და შვილნო, იმ შურის შესახებ, რომელიც ჩვენში არსებობს?

ძლიერია შური ჩვენს დროშიაც, და შეიძლება ეს შური დღეს უფრო ძლიერიც იყოს, ვინემ უწინდელს დროში. პატარა ბავშებშიაც კი, ვისაც თვალყური უგდია მათი აღზრდისა და სწავლისათვის, შენიშნავთ შურს; ერთ ყმაწვილს შურს მეორე ყმაწვილის სათამაშოები და ტანთსაცმელი და მტრუ-


INRI

ლად შესცქერის მას და ელოდება, როდის ამოიყაროს მასზე თავისი გულის ჯავრი, და თუ ეს არ მოხერხდა, სიბოროტისა გამო ეცემა მოწინააღმდეგეს ბალანში, ანუ სულ უმიზეზოდ უფხაჭნის პირის სახეს;—და ეს ხდება ოჯახში, ძმათა და დათა შორის,—მაშ რაღა უნდა ვთქვათ გარეშე პირების შესახებ? შემდეგ, ეს შური ფესვს იდგამს ბავშის სულში, თან და-თან იზრდება და ძლიერდება და შემდეგში ხდება კაცის ცხოვრების მრავალ წვალებათა და უსიამოვნებათა წყაროდ.

მათ კი, რომელთა გულში ნიადაგი არა აქვს შურს, შეხარბიან გაუნათლებელნი და განათლებულნი, ღარიბნი და მდიდარნი, ახალგაზდები და მოხუცებულნი. ეს სამარცხვინო გრძნობა ისე მკვიდრდება კაცის სულში, რომ შემდეგ შეუძლებელიღაა მასთან ბრძოლა.

თავისი ბუნებისამებრ შური დამალულია კაცის მხედველობისაგან და თვით კაციც ფარავს ამ გრძნობას, ამიტომ საძნელო ხდება შურის აღმოფხვრა და შეიძლება ვსთქვათ, რომ შური უკურნებელი სენია კაცისთვის, ვინაიდგან ამ სენს იმ დროს ვნიშნავთ კაცის მოქმედებასა და ყოფა-ქცევაში, როცა მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. შური, როგორც შინაგანი სენი, ძნელი გამოსაკვლევია, და როგორც ყველა ფარული, საიდუმლო სენი, ხრავს გულს, მოსვენებას არ აძლევს კაცს, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გრძნობას, რადგან იგი საიდუმლოდ და სხვის შეუნიშნავად აღმოცენებულა და გაზდილა კაცის გულში საუბედუროდ მისსა და მის მახლობელთა. ჩვენ ვვრცხვენია ამ გრძნობის გამოაშკარავება! და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ ამ ზნეობრივ სენს როგორც ჩვენს შორის, ისე ჩვენ მახლობლებში; მუდამ ჩუმათ ვართ და ვფარავთ შურს ჩვენს გულში ჩვენდა სავნებლად· მაგრამ იცოდეთ და ნუ დაივიწყებთ მხოლოდ ერთს, რომ შური არის ჩვენი ფარული და ფრიად მავნებელი მტერი; იგი ღრმად მოკალათებულია ჩვენს გულში და ჩვენვე გაცხარებულ და გამუდმებულ ომს გვიწევს. გახსოვდეთ ისიც, რომ შური არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა არც მრავალი დამნაშაობანი, რომელნიც მთელს სიცოცხლეში სანანებლად და სატირლად გვირჩება ხოლმე, არ იქნებოდა არც ის შინაგანნი წვალებანი, რომელნიც კაცის თვალთ შეუნიშნავნი რჩებიან, მაგრამ საოცრად კი სტანჯვენ კაცს; რომ შური არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა არც ცილის წამება, რომელიც მკვიდრი დაა შურისა, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც დედა, უფროსია და უფრო მავნებელი პირველზე.

შეიძლებოდა კიდეც შევრიგებიყავთ ისეთ ბოროტ გრძნობებს, როგორიც არის შური, რომ იგი ღონიდეს და მოსვენებას არ აძლევდეს მარტო მათ, რომელთა გულშიაც მოიკალათა ამ ბოროტმა გრძნობამ; მაგრამ შური მავნებელია როგორც თვითონ მეშურნისათვის ისე სხვათათვისაც, რომელთა ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას არღვევს შური. რამდენიმე უბედურება და უთანხმოება ხდება ოჯახში და კაი ნაცნობ პირთა შორის ამ საზიზღარ გრძნობათა გამო! აგერ ხედავ, რომ რამოდენიმე მოსახლე მშვიდობიანად ცხოვრებენ, სიყვარულობით ეკიდებიან ერთმანერთს,—კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან; ასეთი მათი ცხოვრება შურს უღვიძებს გულში ვინმეს, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს მის მეზობელთა ბედნიერი ცხოვრება, ვინაიდგან თვითონ დიდ სიღარიბეს და ნაკლებობასა გრძნობას და ამისთანა ბოროტი გრძნობით წაქეზებული შედის სხვის ოჯახში, იწყებს ჭორიკანობას და მძულვარებას აგდებს ოჯახის წევრთა შორის და სხვა-და-სხვა ხრიკებით არღვევს ბედნიერებას ცოლ-ქმართა შორის: თუ მეშურნემ თავისი ხრიკებით ვერაფერი გაარიგა, მაშინ იწყებს პატიოსან და ღირსეულ პირთა საზოგადოების თვალში დამცირებას და ლანძღვას და ხშირად მართლაც აღწევს თავის სამარცხვინო მიზანს. საზოგადოდ ნეტარება იმას, ვინც თავის დროზე შეიგნებს ამ ბოროტი და გესლიანი გრძნობის დამღუპველობას, როგორც საიდუმლო და საშიშარი მტრისას, და თავისი მოქმედებით მოახშობს ამ შურს თავის გულშივე. იმას ნუღარ იკითხავთ, თუ რამდენია დღეს მოშურნე პირნი,—შური როგორც მოარული სენი გადამდებია და საჩქაროდ ვრცელდება ჩვენს ხალხში.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, როგორც გადამდები სენის წინააღმდეგ არის სხვა-და-სხვა საშუალებანი მათ შესასუსტებლად და განსაკურნებლად, აგრეთვე მოიპოვება საშუალება შურის წინააღმდეგ და მის შესასუსტებლად. ასეთი საშუალებაა ღვთის მორჩილება, კმაყოფილ ყოფა იმით, რასაც ღმერთი მოუვლენს თითოეულს ჩვენგანს ქვეყნიურ ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, კმაყოფილ ყოფა ღვთის მოწყალებით და მასთან განუსაზღვრელი მადლობა უნდა შევსწიროთ უფალს იმ მრავალი მოწყალებისათვის, რომელსაც მოგვივლენს ჩვენ მიუხედავად ჩვენი უღირსობისა, განსაკუთრებით მისი ჩვენდამი მამობრივი გრძნობისათვის. რომ მეშურნე კაცს შეეძლოს შეიგნოს, თუა სასარგებლო მისთვის, როცა მაგალითად მას შურს მდიდრის ქონება და თან კი უსაქმოდ ზის, დაუჭვდია ხელები და ხელ გაუნძრეველად ელის ზეციურ მანანას, ანუ რა სირეგვნეა შეგშურდეს კაცის განათლება, როცა თვითონ მეშურნე ზარმაცობს ანუ სრულებით არაფერს არ სწავლობს.

სამწუხაროდ, ამ გრძნობით შეპყრობილი ვერას დროს ვერ შეიგნებს, რომ შური არას შემატებს არც მის კეთილდღეობას და ვერც მდიდარს შეუმცირებს სიმდიდრეს და ვერც ნასწავლ და განათლებულ პირს მოაკლებს განათლებას.

რამდენადაც ძლიერი და ფარულია რაიმე ავადმყოფობა, მით უფრო საძნელოა მისი ექიმობა; ამიტომაც ყველამ, რომელთაც საღმრთო ვალად აძევთ ყრმათა აღზრდა-განათლება, დიდის ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი, რომ თავის დროზე შეასუსტონ ბავშებში ეს მავნებელი და დამღუპველი გძნობა-შური და თუ შეიძლება ძირიანად ამოაგდონ იგი ყრმათა გულისაგან.

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

ტოლები.

გაგრძელება *).

ეუ ზოგ დედაკაცებს ცუდი ზედგავლენა აქვსთ, ამის მიზეზი მათი ნიჭის ცუდად აღზრდაა. ანდაზად გახდა, რომ ბრიტანელ დიასახლისს, წინასწარმეტყველი ამბაკოსავით, ყველაფრის უნარი და ნიჭი აქვსო. თუ ეს მართალია, უეჭველად იმისაგან არის, რომ ის იმ ზომამდე გატაცებულია ქმრისა და ოჯახის სიყვარულით, რომ სხვა ვერაფერი ვერ მიიქცევს მის ყურადღებას.

ასეთია ბუნებრივი მიმართულება ამ ვიწრო და განსაკუთრებული სამსახურისა. ამ რიგად თავ-მოყვარეობას დედა-კაცი ვერ ამაგრებს თვის არსებაში, არამედ ქმარსა და შვილებსაც ადებს. მართალია მათი გულისათვის ის ბევრ უსამართლოებას ჩაიდენს, მათდა სასიამოვნოდ ბევრ რასმეს აიტანს; მაგრამ ამ გვარი ეგოიზმი იგივე პიროვნული თავმოყვარეობაა. რა თქმა უნდა ამ სახის ეგოიზმს ძალიან ხშირად შევხვდებით, ამ ტომ ალექსანდრე დე ტოკვილის სიტყვებში დიდი სიფრთხილე იხედება: „პოლიტიკაშიო, ამბობს ის, ვალდებული ვართ, როგორც სხვა სფერაშიაც, განსაზღვრული გრძნობები დავმყვნათ. ამით მე იმას კი არ ვამბობ, რომ ვითომც სამღვდელოებამ თავის სამწყსოს რესპუბლიკური და როიალისტური აზრები უნდა ჩაუნერგოს; მაგრამ ჩემის აზრით სასურველია, რომ ხშირად ესაუბრონ მათ იმ ნასკვზე, რომელიც აკავშირებს და აერთებს მათ კაცობრიობის დიდ კრებასთან, სადაც თვით უფალმა უჩვენა მათ ადგილი. სამღვდელოება უნდა სცდილობდეს ჩაიხედოს თვისი სამწყსოის სულის სიღრმეში და რაც შეიძლება მალ-მალ მიაწოდოს დარიგება თავიანთ სულიერ შვილებს, რომ თითოეული მათგანი პირველად კაცობრიობას ეკუთვნის და არა თავის თავს!!.

აი ჩემის აზრით რას უნდა ქადაგებდენ მამაკაცები და უფრო მეტად დედა-კაცები. ჩემი გამოცდილებიდან, რომელიც ჩემი სამსახურის დროს შევიძინე, ცრაფერი არ მოაცებს ისე, როგორც დედაკაცების ზედგავლენა იქ, სადაც სცდილობენ კაცთ-მოყვარეობის გავრცელებას. მეტი არ იქნება, რომ ვსთქვა დედა-კაცებზედ, რომ ისინი ყველა ერს უღვიძებენ ზნეობრივ ძარღვის ცემას, რაც შემდეგ თავის თავად მოქმედებს პოლიტიკაზე. მე ბევრი სუსტი ხასიათის კაცები მინახავს, რომ შემდეგ გამოჩენილ მოღვაწედ გამხდარან საპოლიტიკო ასპარეზზე იმის წყალობით,

---

*) იხილე „მწყემსი“ № 2, 1899 წ.

რომ დედაკაცები ეხმარებოდენ და არიგებდენ; არამც თუ რჩევას აძლევდენ, არამედ ზედ-მეტად ეწვრთნიდენ რწმენას და მათ თავმოყვარეობას ჭეშმარიტ გზაზედ აყენებდენ.

უნდა გამოგიტყდეთ სამწუხაროდ, რომ უფრო ბევრი იმის მაგალითი მინახავს, რომ შინაურული პირობებმა ბუნებით კეთილ-შობილი, სულით მაღალი კაცი მხდალ ადამიანად გადააქციეს, რომელიც პირადი დიდებისათვის მზად არის უღალატოს თვის რწმენას—გადააქციეს თავმოყვარედ, რომელიც იმდენად ზრუნავს საზოგადო საქმეზედ, რამდენადაც გამოსადეგია პირადად მისთვის. ეს გარემოება იმიტომ ხდებოდა, რომ იმათ დღე და დღე ისეთ დედაკაცებთან ჰქონდათ მსვლელობა, რომლებიც, თუმცა დიდი სწავლული, ერთგული ცოლები, ჭეშმარიტი დედები იყვენ, მაგრამ ამასთან არ ჰქონდათ წარმოდგენა მამაკაცთა მოღვაწეობაზედ, მათ მოვალეობაზე მთელი კაცობრიობის წინაშე.

ამ გვარი ზედგავლენა აქვს აწერილი ბრაუნინგს თვის პოემაში „ანდრეა დელ სარტო". ამ პოემის უმთავრესი აზრები ისტორიულ საშუალებაზე არიან დამყარებულნი.

ანდრეა დელ სარტოს „უნაკლულო მსახიობს" უწოდებენ. ის იმდენად ნიჭიერი იყო, რომ თითქმის რაფაელსაც უსწორებდა შეცდომებს. ასეთი ნიჭიერების წყალობით მას სახელ განთქმულ რაფაელსა და მიქელ ანდჟელოს ადარებდენ. მაგრამ რაფაელი და მიქელ ანდჟელო უცოლონი იყვენ, და ამან კი ცოლად შეირთო მედიდური, ანგარი, ლამაზი ქალი—ლუკრეცი ფედე, რომელსაც არამც თუ არ უყვარდა ქმარი, არამედ მის მოღვაწეობასაც არ აფასებდა. მისი ერთად ერთი წადილი ის იყო, რომ რაც შეიძლებოდა ბევრი ფულები დაეტყვა ქმრისათვის ძვიფასი ტანსაცმელისა და სამკაულების საყიდლად. ერთხელ ანდრეა დელ სარტო ფრანცისკ პირველის სასახლეში მიიწვიეს. მეფემ დიდი შემწეობა აღუთქვა, და გაამზნევა, ასე რომ ახლა საშუალება ჰქონდა დიდი სახელი მოეხვეჭა თვისი ხელობის განვითარებით. მეფემ ფულებიც მისცა იტალიაში სურათების საყიდლად, მაგრამ ცოლის რჩევით და ძალდატანებით ანდრემ ეს ფულები თავის საჭიროებას მოახმარა, სახლები იყიდა თავისთვის. ამ საქციელმა ძალიან გაუტეხა სახელი, ყველანი შემოეცალნენ და ამიერიდან ზიზღით იხსენიებდენ. მაშინ კი მიხვდა, რომ ყველაფერი დაჰკარგა და ამის მიზეზიც ცოლი იყო, რომელსაც მაშინაც კი აღმერთებდა სილამაზისა გამო, როდესაც ჩირქი მოსცხო საქვეყნოდ და სიღარიბეშიაც ჩაგდო. დასასრულ იმით მოიხვეჭა სახელი, რომ საოცრად დახატა თვისი სურათი ტილოზედ სიცოცხლით სავსე და ლამაზი ცოლის გვერდით, და ამ სურათს მეტის-მეტი მწუხარებისა და სინანულის გამომეტყველი სახე მისცა.

პოეტი ბრაუნინგი ასე ხსნის ამ სურათის მნიშვნელობა-შინაარსს: ქმარი შეხვდა ცოლს: „ოხ ნეტ ვი შენ ისეთი კეთილი და მშვენიერი სულისა და გულის იყვე, როგორიც თვალები და აგებულება გაქვსო. არიან ხოლმე დედა-კაცები სხეულითაც და სულითაც ლამაზნი. მაშინ კი ასე მეტყოდი: ღმერთი მიწოდს დიდებისაკენ. ნუ შეიყვარებ სიმდიდრეს. რა არის აწმყო მომავალთან შედარებით! იცხოვრე სახელისათვის, როგორც მიქელ ანდჟელლო. რაფაელიც დაგცქერის. სამნივე ერთად ამაღლდებით და აღტაცებით მეუფისაკენო".

იგავთა წიგნის უკანასკნელს თავში სოლომონ მეფემ შვენიერი სახე დაგვიხატა ოჯახში მომქმედ გულკეთილი დედა-კაცისა. „დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოოს უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისათა. კეთილ არს მის ზედა გული ქმრისა მისისა, ესე ვითარი კეთილთა ნატყვენავთა არა დააკლდეს. რამეთუ იქმს ქმრისა კეთილსა ყოველსა შინა ცხოვრებასა. მოიგო მატყლი და სელი, ქმნა კეთილ სახმარი ხელითა თვისითა, იქმნა ვითარცა ნავი მოვაჭრე მოქმედი, შორით მოიკრიბის თავისა თვისისა სიმდიდრეს და აღდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა. მხილველმან აგარაკი მოიყიდა, ხოლო ნაყოფთაგან ხელთა თვისთასა დანერგა ვენახი. მოირტყნა ძლიერად წელთა თვისთა, დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა, და იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველი. მწყრთა თვისნი განმარტნა სასარგებლოსა ზედა ხოლო ხელსა თვისსა განამტკიცნებს დარსა ზედა მოსთქვად. და ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკსა, ხოლო ნაყოფნი მიუხვნა დავრდომილსა. არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს რადა ყოვნოს. რამეთუ ყოველნი მისთანანი შემოსილ არიან მარჩობლთ სამოსელი უქმნა ქმარსა თვისსა, ხოლო

ბისონისაგან და პორფირისა თავისა თვისისა სამოსელი. დადებულ იქმნების ბჭეთა შინა ქმარი მისი, ოდესცა უკეთუ დასჯდის კრებულთა შორის მოხუცებულთა თანა მკვიდრთა ქვეყანისათა ამცნო. არდაგები უქმნა და განუყენა ფინიკელთა, ხოლო მარტყლები ქანანელთა. პირი თვისი აღაღო კრძალულებად, და სჯულიერად და წესი მცნებისა ენასა ზედა. ძალითა და შვენიერებითა შეიმოსა და ეხარა უკანასკვნელთა დღეთა შინა. იწრო არიან ალაგნი სასახლისა მისისა, ხოლო საზრდელი სიკონილისა არა ჭაბა. აღაღო პირი თვისი ბრძნად და სჯულიერად ხოლო ქველის საქმეთან მისთან აღადგინა შვილნი მისნი და გამდიდრნეს, ქმარმანცა მისთან აქო იგი. მრავალთა ასულთა მოიგეს სიმდიდრე, მრავალთა ყვეს ძლიერება, ხოლო შენ გარდა რიე და გარდამატე ყოველსა ზედა, მიეცით მას ნაყოფთაგან ბაგეთა მისთასა, რათა იქებოდინ ბჭეთა ზედა ქმარი მისი".

გარდა ამისა ქება-ქებათა წიგნში შვენივრად არის დასურათებული სოფლელი ქალის სიყვარული სატრფოსადმი, რომელმაც უარ ჰყო მდიდრული და ფუფუნებით გათქმული სასახლის ცდუნება, მოიხიბლა სამშობლოს მიდვრებზე გაშლილ ყვავილებით, ბროწეულის ხეებით, ვაზებზე დამკვრახული ტევნებით, ფრინველთა ჟრიამულით და მთიული წყაროების ჩუხჩუხით.

პოეტებსაც ბევრი სურათები აქვთ დახატული ოჯახის ბედნიერება-მყუდროებისა. მაგალითად შექ. სპირის პორცი, კაპლერნი, მირანდი, გერი, დეზდემონი, ქ.ნი პერსი, იმოგენი და სხვა მრავალნი შვენიერ მაგალითს გვიყენებენ თვალწინ.

მილტონი, რომელსაც პირველი ქორწინება უბედურად გამოადგა და დიდხანს არც მეორე ქორწინება ეკატირინა ვუდთან და მესამე ელიზავეტა ბინშულთან შერჩენია და დამტკბარა მათთან ბედნიერებით, საოცრად გვისურათხატებს თვის ლექსებში ცოლ-ქმრობის ბედნიერებას.

მაგრამ უფრო საგრძნობელად პოეტი ერნესტო დეჟონსი აგვიწერს ამ საგანს: „ჩემო მეუღლევ, ჩემო სიცოცხლევ, მომიახლოვდი. ქვეყნიერება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, აშფოთებული ზღვაა. როდესაც შენი ხელი ხელთ მიჭირავს და თვალებში ჩაგცქერი, მაშინ რას დავეძებ მე ამ ზვირთებს, რაზომ დიდებიც უნდა იყვნენ? თვით უძლიერესი ქარიშხალი არაფერია ჩემთვის, თუ კი შენ გფარავ. მე არ ვგრძნობ მაშინ სიცივეს, ვინაიდან შენის გულის ფანცქალში გაისმის: «მამაცი და ერთგული ქმარიო".

მაგრამ მე მგონია ამაზედ უკეთესს ოჯახის ბედნიერების მაგალითს ვერ მოვძებნით, რომელიც რომანისტმა ჩარლს რიდმა დაგვისურათა რომანში „კრისტი ჯონსტონი". „ქმარი პატიოსანი ახალგაზდა იყო, ქალი კი დედა ოჯახისა, დიასახლისი. მათი ცხოვრება დაუშრეტელი შრომა იყო, რომელსაც სიხარული ათბობდა. მათი ერთობრივი ცხოვრება საიდუმლო ქორწინების ნამდვილი და სწორი განხორციელება იყო. ამ კურთხეულ კავშირში ორი ინტერესები ერთად შეერთდენ, ორი გული ერთნაირად სცემდა ერთიერთმანერთის გვერდით. მეგობრები იყვენ, იმიტომ რომ ცოლ-ქმარი იყვნენ. შეყვარებულნი იყვნენ, იმიტომ რომ ცოლ-ქმარი იყვნენ, ერთ უსამზღვრო, განუყოფელს სიმართლეს წარმოადგენდენ, იმიტომ რომ ცოლქმარი იყვენ".

ამ გვარი ცოლი ახალისებს ოჯახს თვისი შრომითა და მეცადინეობით სისუფთავესა და თავდა-რიგობაზე, და ქმარსაც ბევრს ასიამოვნებო. ხოლო ქმარი მუშაობს ცოლის დასარჩენად, დიდების მოსახვეჭად, რომელიც ამავე დროს ცოლის დიდებაც არის. როდესაც ერთს მათგანს ემჩნევა რაიმეს ნატვრა, მეორე სცდილობს გამოუძებნოს საშვალება ამ წადილის დასაკმაყოფილებლად. ერთად ეწევიან მწუხარების უღელს. რაც ამიტომ ძრიელ უმჩატდებათ. ერთად ეწევიან სიხარულის უღელსაც, რაც უფრო უტკბებათ და უორკეცდებათ. ერთად ადიან ცხოვრების ყვავილოვან ქედზე, და როდესაც უცვლელი კანონების ძალით დაეშვებიან ბნელი ხეივნისაკენ, ე. ი. სიკვდილისაკენ, მაშინაც ხელი ხელს ჩაკიდებული მიდიან, ნაზად შესცინიან ერთი ერთმანერთს და ისე ერთგულად და ენერგიულად ესარჩლებიან გასაჭირის დროს გზა და გზა, როგორიც არ გამოუჩენიათ სიყმაწვილის დროს, როდესაც მკლავებშიაც და მუხლებშიაც ძალ ღონე უცემდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. ყრმას, რომელიც მონათლული იყო უმღვდლოთ ერის კაცისაგან შიშისა გამო უნათლავად სიკვდილისა, წყალში იყო ჩაყვანილი და მირონი არ ცხებია, შეიძლება წესი აუგოს მღვდლისაგან, როგორც ნაჩვენებია კურთხევანში?

მიგება. მონათვლა საჭიროების დროს ერის კაცისაგან დასრულდება მღვდლისაგან, თუ ბავშვი გადარჩა სიკვდილს და ცოცხალი დარჩა (იხილე წიგნი მღვდლის თანამდებობაზე 84); ასეთი ყმაწვილის სიკვდილის შემდეგ მღვდელი ვალდებულია ყოველივე წესი შეასრულოს მაზე, როგორც მონათლულ ყრმაზე,

კითხვა. რაში მდგომარეობს მოვალეობა საზოგადოების წარმომადგენელთა, რომელნიც ინიშნებიან ეკკლესიის მნათესთან. ვალდებულნი არიან ისინი, რომ ნიადაგ უყურონ სანთლის წარმოების საქმეს ეკკლესიაში.

მიგება. ორი კაცი კიდევ ზედ მეტი, რომელიც მრევლთაგან უნდა ინიშნებოდეს ეკკლესიის მნათესთან ახალი ინსტრუქციის ძალით, ვალდებულნი არიან დაესწრონ თვის ბოლოს ანგარიშზე წიგნების შემოწმების დროს და შესავალ გასავალშიაც ხელს აწერდენ. მაგრამ მათ შეუძლიათ მოეხმარონ სტაროსტას სანთლის გაყიდვაში, თუ სტაროსტა საჭიროებს და ისურვებს მათ დახმარებას.

კითხვა. გვირგვინის კურთხევა შესრულდა ბილეთით, მაგრამ ბილეთის პირი დარჩება ობისკში და ნამდვილი უნდა მიეცეს მომტანს. ამ პირისათვის საჭიროა ოთხ აბაზიანი მარკა?

მიგება. ოთხ აბაზიანი მარკა ითხოვება იმისთანა საბუთების პირისათვის, რომელნიც უმარკოთ არ მიიცემა. ბილეთებზე მარკების დაკვრა მოსპობილია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო რჩევის აზრით 7 აპრილიდან 1897 წლისა, რომელიც გამოცხადებულია მე—20 №-ში საეკკლესიო უწყებაში (იხილე გვერდი 212 1897 წ.); მაშასადამე ამისთანა ბილეთის პირისათვის საჭირო არ არის გერბის მარკა.

კითხვა. ავათ მყოფ მედავითნეს შეუძლია თუ არა კაცი დაიქირავოს თავის მაგიერ მორჩენამდის და მედავითნის სრული წილი მიიღოს შემოსულისაგან?

მიგება. საზოგადოდ მიღებული ჩვეულებით, თუ ჯეროვანი კაცი დააყენა ავათმყოფმა მედავითნემ თავის მაგიერ, რასაკვირველია, სრულად უნდა მიიღოს წილი, თორემ კანონით ნახევარს ყოველთვის მიიღებს, როცა ავად არის და სამსახური არ შეუძლია მორჩენამდის.

კითხვა. გადამდები სნეულებით გარდაცვლილი შეიძლება მღვდელმა ეკკლესიაში შეასვენოს და წესი აუგოს?

მიგება. უწმინდესი სინოდის უქაზით 18, ოკტომბრიდან 1755 წლისა და 14 ნოემბრიდან 1830 წლისა, გარდამდები ავათმყოფობით გარდაცვლილთ წესი უნდა აუგოს მღვდელმა იქ, სადაც გარდაცვლილან და არა ეკკლესიაში. შეიძლება წესის აგება თვით სასაფლაოზე, სადაც საფლავია გაჭრილი.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელმა თავისი სიძე იყოლიოს წევრად კრებულში ან თავისი მონათესავე.

მიგება. ეს კითხვა აღიძრა ამას წინეთ სინოდალნი კანტორისაგან და საყოველთაოდ გარდაწყდა და გამოცხადდა, რომ ეკკლესიის კრებულში ნათესავების ერთად მსახურება არ შეიძლება.

კითხვა. ყოველ სამ წელში უნდა ირჩევოდეს სტაროსტა, მნათე ეკკლესიისთვის თუ შეიძლება ერთი არჩევით იმსახუროს ათი წელიწადი? მედავითნეს ეკითხება თუ არა რამე სტაროსტის ანგარიშებისამებრ?

მიგება. სტაროსტა ყოველ სამ წელიწადში ირჩევა მრევლისაგან და არა ათი წლობით. სტაროსტის არჩევაზე ეკკლესიის კრებულში მედავითნეებმაც ხელი უნდა მოაწერონ და თანხმობა განაცხადონ ამორჩეული მნათის დანიშვნაზე. ყველა მედავითნეს ხმა აქვს ანგარიშის დროს თვის ბოლოს საზოგადოდ წიგნების შემოწმებაზე.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი 27 აპრილს, როდესაც დაემთხვევა გარდაცვალებულთა მოხსენების დღე, რადგან ამ დღეს დაემთხვევა ხელმწიფე მემკვიდრის დღეობაც.

მიგება. ვინაიდგან ძველი დროიდგან სულის მოხსენების დღედ ითვლება ოც-და-შვიდი აპრილი, თომას კვირიაკის სამშაბათი, და ამ დღეს კი ხვდება დღესასწაულობა მემკვიდრე ცესარევიჩისა, სულის მოხსენების დღე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებულ იქმნეს 26 აპრილს. ამ ნაირი შემთხვევა იყო ერთი 21 ოკდომბერს 1895 წელში და მაისის თვეშიაც იმპერატრიცის დღესასწაულობის სულთაობას შეხვედრის დროს. ამ შემთხვევაში სულის მოხსენების დღე გადადებული იყო სხვა დღეს, რადგან პანაშვიდის ასრულება ამისთანა დიდი დღესასწაულების დღეებში სინოდის უქაზით, 11 ივნისიდან 1724 წლისა, აღკრძალულია.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები:

I

მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივ-ცემული ჟურნალის „მწყემსი"-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მაგიერ ქ. ბათუმში მოვაჭრეს როსტომ ფრიდონის ძე კვახაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ზნაკვის ღვთის-მშობლის ეკკლესიას სახარება, ღირებული რვა თუმნად (80 მან.), 2) სოლომონ ფრიდონის ძე კვახ ძეს—პურის საკურთხი, ღირებული ერთ თუმნად (10 მან); 3. მერაბ და დავით ვასილის ძე ბ კურაძეებმა სანაწილე, ღირებული თვრამეტ მანეთად და სამ აბაზათ (18 მან. 60 კ.) და ორი მანეთი (2 მ.ნ.) 4) სამსონ ივანეს ძე კვახაძემ—პატარა სანაწილე, ღირებული სამ მან. (3 მ.ნ.,) 5) ლეკა ქოქო აძემ—-თანაარსის შანდალი და ტაკუკი, ღირებული თვრამეტ მანეთად (18 მან.) დ. ალექსი უთმელაძემ—შანდალები ტრაპეზზე დასადგმელი, ღირებული (3 მან.). 7) ირაკლი მიქაუტაძემ—პატარა ქვარცმის ჯაღი, ღირებული ორ მანეთარ (2 მ.ნ.)

ზნაკვის ღვთის შობლის მიძინების ეკკლესიის მღვდელი
იაკობ გურგენიძე.

II

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის" საშუალებით უღრმესი მადლობა უძღვნა ჭიათურის სამრეწველო ბოქაულს ბ. ნესტორ ნიკოლოზის ძეს არდიშვილს და მარიამ ივანეს ასულს ბაუმგარტენ-სას,—პ რველმა მათგანმა გამოუწერა ჭიათურის სამრევლო სკოლას საყმაწვილო ჟურნალი «ჯეჯილი» 189⁸/₉ სამოსწავლო წლისთვის, ინახულა სკოლა, დაურიგა ყმაწვილებს ოთხი მ ნეთის კონფეტები საახალწლოთ და კვლავაც აღმითქვა სკოლის დახმარება, ხოლო მეორემ აჩუქა სამი მ ნეთი ფული ხსენებული სკოლის ორ ობოლ და ღარიბ მოსწავლეს.

ჭიათურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
ბესარიონ ვაშაძე.

III

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»-ს საშვალობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ფარნაოზ როსტომის ძე კობახიძეს, რომელიც თუმცა მოკლებულია ცხოვრებისთვის ყოველ საჭირო ნიჭს და მათხოვრობით ირჩენს თავს, მაგრამ გადანარჩენი თავისი წვლილი—ხუთი მანეთი, შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო ახლად აგებულ სამინისტრო სკოლას.

ჭინათის სკოლის მასწავლებელი მ. მეგრელიძე.

რედაქციის პასუხი.

მასწ ს. რ—ლის. მადლობას უცხადებთ და თავს კი იმალავთ. არ შეიძლება თქვენი მადლობის გამოცხადების დაბეჭდვა.

მოძღვართ მოძღ. იოან. ქავთარაძეს. თქვენგან გამოგზავნილი ფული წარსული წლის ანგარიშში მივიღეთ. თუ გსურსთ, ამ წელშიაც ჟურნალი გამოგიგზავნოთ ხელის მოსაწერი ფული წარმოადგინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ოჩრ
კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე
ᲓᲐ
რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე
ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**. **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შოლ ქუჩაში ვილოთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; **სარჩერეში**—ყარაიან ჩუ იძეთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში**—ბლაგოჩინ მაია არიტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემ **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანა მეიღლების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ᲮᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲣᲛᲑᲚᲘᲡ** ფოტოგრაფიული **ᲜᲐᲮᲐᲢᲘ**
და ჩვენი მოდვაწის ბატონის

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ,
ბრესტოლის ქალალდზე დაბეჭდილი.

ზემოალნიშნულ საჩუქრებს ხელის მოწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისთანავე,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

თანხმად სანთლის გამგე კომიტეტის ჟურნალის დადგენილობისა, დამტკიცებულის მის ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონისაგან ქუთაისის სანთლის საწყობში მჯდომი **ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ** საწყობში იყოს ზამთრობით დილის რვა საათიდან ნაშუადღევის მეორე საათის დაწყებამდის. მეორე საათზე სანთლის საწყობი დაკეტილია მესამე საათის დაწყებამდის. მესამე საათიდგან მოკიდებული საწყობი ღია არის საღამოის რვა საათის დასრულებამდის. ზაფხულობით საწყობი ღია არის დილის შვიდი საათიდან საღამოის ცხრა საათი გათავებამდის და სასადილოთ ეძლევა თავისუფლება პირველი საათიდან მესამე საათამდის ნაშუადღეკისა, ე. ი. ერთ საათს.

სანთელი ყველას შეუძლია იყიდოს მხოლოდ წონით არა ნაკლებ ერთი გირვანქის მეოთხედისა. საწყობში ღერობით სანთლის გაყიდვა სასტიკად აკრძალულია.

კომიტეტის თავსმჯდომარე დეკ. დ. ღამბაშიძე
წევრნი კომიტეტისა მღ. ფ. ფხაკაძე
და მღ. ს. ლეკვეიშვილი

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ქრისტე აღდგა! —მხედრულისა და ხუცურის ანბანის გამო.—გზა მღვდლობისაკენ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ და **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ** და **ᲥᲔᲗᲘᲚᲨᲝᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ:** შურითა მიჰსცეს იგი.—ოჯახის კერა. მამაკაცი და დედაკაცი: ცოლები.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ** ცნობათა განყოფილება: საეკვო კითხვების განმარტება.

შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 апрѣля *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.